მითის ქმნადობა XX-ე საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკულ-ქართულ ლიტერატურაში ჯონ აპდაიკის „კენტავრისა“ და მისი ქართული ანალოგის ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მიხედვით

ნატო ხმალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატო ხმალაძე

25.06.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია აღწეროს მითოსური მოდელების როლი ჯონ აპდაიკის „კენტავრში“ და ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ყურადღება დაეთმობა ამ ორი, სხვადასხვა რეალობაში მცხოვრები მწერლის მიერ შექმნილი ნაწარმოებების შედარებას, თუ რამდენად იყენებენ ისინი მსგავს თხრობის ტექნიკას, რას ისახავს მიზნად რომანებში არსებული მითოსი და როგორ ახდენენ დასახული მიზნის რეალიზებას.

ნაშრომში აღწერილია ის მნიშვნელოვანი მსგავსება, რაც ორივე მწერალს გამოარჩევს მათი თანამედროვე შემოქმედებისგან- ისინი პოსტმოდერნისტულ ეპოქაში მოღვაწეობის მიუხედავად მოდერნისტული და რეალისტური ლიტერატურის უდავო გავლენის ქვეშ არიან, რამაც განაპირობა ნაწარმოებებში არსებული მითოსური მოდელების სიმრავლე. თითოეული ნაწარმოების განხილვის შედეგად, ნარატიული სტილის თუ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქციური განსხვავების მიუხედავად, უდავოა, ამ ორ რომანს შორის მსგავსება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნების გამოცემისა და სხვა სოციალურ-ენობრივი ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე გამოირიცხა აზრი, რომ შესაძლოა მათ ერთმანეთზე გავლენა მოეხდინათ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აბსოლუტურად განსხვავებულ რეალობაში მცხოვრები ორი მწერლის მიერ იქმნება რომანები, რომლებიც სოციალური თუ ეროვნული ღირებულებებისა და ნარატიული სტილის სხვაობის მიუხედავად, ერთმანეთის ანალოგებად შეიძლება მივიჩნიოთ მათში არსებული მითოსური მოდელების მნიშვნელობის, როლისა და რეალიზაციის თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აპდაიკი, კენტავრი, ჭილაძე, მითოსი, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.

Abstract

The purpose of the research is to describe the role of mythos in John Updike's "The Centaur" and Otar Chiladze's "A man was walking on the road". The main focus of the research will be the comparison of these two writers, how much they utilize one and the same narrative technique, what is the purpose of the mythos in the novels and how the authors manage to fulfill their aims.

The research shows the major similarity between the two writers which separates them from their contemporaries- even though they belong to the postmodernist period we can see unquestionable influence of modernism and realism which more or less explains the abundance of the usage of mythos in the above mentioned novels. After reviewing both of the novels, even though we've come across to the differences in their narrative styles and functionality, we can undoubtedly assume there are several significant similarities. Considering the publication date of the books and some social factors the idea of these authors having influenced each other has been denied.

As a result of the research we can assume that in absolutely different environment these two authors write the novels, which apart from having different social and national values and narrative styles, can still be considered as two analogies because of the existence of the mythos in them, what role it does play and how it is actualized.

The key words: Updike, Centaur, Chiladze, Mythos